



# სამეურნეო შურნალი

# მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალის ფასი წელიწადში 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება  
თითო ნომერი ხელზე გასასყიდალ 10 კაპ. || ადრესი: Тифლისь, Вярятинская, № 5.

## წელიწადი მიმოი

1910 წელიწადი.—ნომერი, №№ 21 & 22.

### შინაარსი

ვ. რცხილაძე . . . . .	მცენარენი და ცხოველნი . . . . .	3
ვ. გულბათიშვილი	სამეურნეო მასინების საერთოდ შეძენა . . . . .	5
პ. ვაჭრიშვილი . . . . .	რად კოტრდებიან მომხმარებელი ამხანაგობანი . . . . .	6
გ. ნახუცრიშვილი . . . . .	უმთავრესი ზამთრის სამუშაოები ვენახში . . . . .	8
გ. ცხადაძე . . . . .	შინაური ცხოველების კუჭისა და ნაწლეების ავადმყოფობანი	13
სტუდ. გ. რცხილაძე.	როგორ ავრცელებენ სამეურნეო ცოდნას ამერიკაში . . . . .	16
ხ. კახელიძე . . . . .	როგორ იშოვეს სოფ. მ. მცხოვრებლებმა თუელი სამეურნეო-საფაქსო საჭირებისათვის, მოთხრობა მ. ბარანცოვისა . . . . .	18

### კორესპონდენცა:

ლ. ჯიქია . . . . .	სამეგრელო . . . . .	23
--------------------	---------------------	----

### საეურადღებო ცნობები:

როგორ შეიძლება მოუსვენარ ძროხის მოვლა მოსაწველად . . . . .	24
ჭიაველების გამრავლება ქათმებისთვის . . . . .	24
როგორ უნდა მოვიქცეთ რომ თანჯრის შუშები ეინვისაგან არ დასქდეს . . . . .	24
კართოფლის სავინი . . . . .	24

# სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წასულ წელს ჟურნალში დაიბეჭდა წერილები შემდეგი შივებისა:—  
პ. ავერკინისა, ა. აფხაზ.სა, აგრიკოლსი, ვ. ახაშვილისა, ვ. ახლაძესი ლ. გოგნიევისა, ვ. გულბათიშვილისა, დ. გორთამაშვილისა, შ. დედაბრიშვილისა, ელჩესი, ზ. ედილაშვილისა, მ. ზაალიშვილისა, ა. თამაშვილისა, ე. იოსელიანისა, დ. კანჩერისა, ე. კარბელაშვილისა, პ. ლორთქიფანიძესი, დ. შიგვანისა, ს. მგალობლიშვილისა, მ. მაღალაშვილისა, ნ. მაკარაშვილისა, ვ. შქედლიშვილისა, მ. მამულაშვილისა, გ. ნახუცრიშვილისა, ტ. ნ., ი. პააგაშვილისა, ვ. რცხილაძესი, მ. სემიონოვისა, პროფ. ა. ფორტუნაგოვისა, ვ. შ—ელისა, ი. წინამძღვარიშვილისა, ს. ხუნდაძესი, ე. სრამელაშვილისა, მ. ჯანაშვილისა, ი. ჯორჯაძესი და რამდენიმე წერილი ხელმოუწერელი.

რედაქცია მოვლის სხვებიდაგნაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

რედაქციასთან ტერმინების შესამუშავებლად არსებობს კოლეგია, რომლის კომპეტენცია რედაქციას სავალდებულოა აქვს თავისთვის მიღებული იმ იმედით, რომ გარემოება იგი ერთის მხრით გამბედაობასა და სიმშვიდეს მისცემს შრომაში ყველა იმათ, ვინც ქალაქ გარედ სცხოვრობენ და არ შეუძლიანთ რედაქციასთან პირიპირ შეთანხმება რომელიმე ტერმინის ხმარების შესახებ, და მეორეს მხრით მისცემს ქართულს ენას მეცნიერებათა ყველა დარგში გარკვეულ სახიერებას.

**კოლეგიაში ჯერხანობით მოწვეულ არიან:** გოგებაშვილი ი., სარაჯიშვილი ა., ჯანაშვილი მ., თაყაიშვილი ე., იოსელიანი ე., გულისაშვილი შ., ყიფშიძე გ., ჯაბადარი ი., კარიჭაშვილი დ., ბილანაშვილი შ., დედაბრიშვილი შ., დამბაშიძე ვ., ალაძე ი., გულისაშვილი მ.

## თანამშრომელთა საშუალებოდ.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურთიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორექსონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

**განცხადებები** დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**. წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან შეთანხმებით. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

წლის დამლევს ხელისმომწერლებს **საჩუქრად დაეგზავნებათ რჩეული თეს-ლეულობა** სხვადასხვა სამეურნეო მცენარეთა საუკეთესო ჯიშებისა.

აგრედვე, თუ შეძლება ექნება რედაქციას, ჟურნალის ხელისმომწერლებს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

**ჟურნალი წელიწადში ღირს 3 მანეთი.**

რედაქციის ადრესი: **Тифлисъ, Барятинская, 5. «МОСАВАЛИ».**

**რედაქტორ-გამომცემელი მ. ი. რცხილაძე**

## მცენარენი და ცხოველნი

კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა დაადგინა კახეთისაკენ მიმავალ ყველა შარა გზებზე, სადგურებზე, სადაც ხალხი ხედება, და აგრედვე შიგ კახეთში ყველა სოფლებში შემდეგი განცხადებები გამოკიდოს:

I. გეშინოდეთ ფილოქსერისა. ფილოქსერამ სხვაგან მილიონობით გაანადგურა ვენახები და ახლა კახეთშიაც გაჩენილა. ნუ შეიტანთ ვენახში ვაზს, ნურც ვაზის რქას, ნურც წალამს სხვა ვენახიდან, თორემ ვენახები დაგელუებთ. შეიძლება ფილოქსერა შეჰყვეს აგრედვე იარაღებსაც (თოხს, ბარს და სხვა) და ფეხსა და ტანსაცმელსაც, თუ კაცი ფილოქსერიან ადგილიდან არის მოსული.

II. არ შეიტანოთ კახეთში არავითარი ვაზი. შეიძლება ფილოქსერა შეჰყვეს და ვენახები მთლად გაანადგუროს.

## მცენარენი და ცხოველნი \*)

მცენარეებისა და ცხოველების ურთიერთ შორის დამოკიდებულება, რომლითაც მცენარეებიც სარგებლობენ და ცხოველებიც.

ესეთ დამოკიდებულებას ეკუთვნის მაგალითად ის დახმარება, რომელსაც მწერები უწევენ ყვავილიან მცენარეებს ნაყოფის ჩასახვაში.

ყვავილის წვეწვანის გამოწონაში მწერები იგანგლებიან ყვავილის მტვერით, რომელიც გადააქვთ მცენარის სანაყოფე ორგანოზე და მით ხელს უწყობენ ნაყოფის ჩასახვას. თუ არ ამნაირ დახმარებით ბევრი მცენარე ნაყოფს ვერ გამოიტანდა. მწერების თავისკენ მიპატიჟება რომ არ ესაჭიროებოდეთ ყვავილიან მცენარეებს, რომელთაც სამტვრე და სანაყოფე ორგანოები გაცალკევებული აქვთ, ყვავილების სხვადასხვა ფერი, მათი სურნელოვანობა, წვეწვანის სიტკბოება სრულიად გაუგებარი იქნებოდა ჩვენთვის.

ამ ნიადაგზე ზოგჯერ ძლიერ რთული დამოკიდებულება იბადება მცენარეებსა და ცხოველებს შორის.

მაგალითად: იონჯა ბალახის ჩასახვა ხდება კრაზანების წყალობით, კრაზანის კვერცხებს სჭამს მინდვრის თავი, თავებს ემტერებიან გარეული კატები, ძერა. ამ სახით კატასა და იონჯას შორის, თუმცა პირველ შეხედვით ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ერთგვარი დამოკიდებულება არსებობს.

მცენარეების თესლი ცხოველებს გააქვთ-გამოაქვთ ზოგჯერ შორ მანძილზე და მით ხელს უწყობენ მცენარეების გამრავლებას. ნაყოფში ჩამოლული კურკა და სხვა მაგარ-კანიანი თესლი მცენარეებისა როდი ჰკარგავენ ამოსვლის ძალას, როცა ფრინველებით ან ცხოველებით გადიულაპებიან და შემდეგ მათ განავალს გაჰყვებიან.

ამისა გამო მცენარის თესლი გადაიტანება ხოლმე ფრინველით, ზოგჯერ ისე შორს და ისეთ უხვედრ ადგილს, სადაც უამისოდ თესლი არ მოხვდებოდა.

\*) იხ. „მოსავალი“ № 5, 1910 წ.

ამასთანავე დაკავშირებულია ის მოვლენაც, რომ თესლის შემოსვლა სრულდება მაშინ, როცა ნაყოფი მწიფდება, გემრიელდება საკმელად.

მცენარეები ვრცელდებიან თესლის წაღებ-წამოღებით კიანჭველებითაც, რომელნიც ნაყოფსა სკამენ და შიგ ჩამალულ თესლს კი სტოვებენ თავიანთ თხრილებში, სადაც თესლი ღვივდება და მცენარე ამოდის.

ხელს უწყობენ მცენარეების გავრცელებას აგრედვე ის ცხოველებიც, რომელნიც თავიანთ ბინებზე სხვადასხვა მცენარეების თესლეულობას აგროვებენ ბლომად.

წილი უდევთ მცენარეების გავრცელებაში იმ ცხოველებსაც, რომელნიც თავიანთის სასარგებლო მცენარეების დასაცველად გამოდიან და არავის არ ანადგურებინებენ მათ.

### სიმბიოზი

შესანიშნავ დამოკიდებულებას მცენარეებისას ცხოველებთან წარმოადგენს ეგრედწოდებული **სიმბიოზი** — მოვლენა, რომელიც მდგომარეობს იმაში რომ მცენარეც და ცხოველიც თავიანთის საცხოვრებელ ბინებს ერთმანეთში ან ერთმანეთზე დასახლებით ან ჩასახლებით ჰპოებენ. როგორც მაგალითად *Callidina symbiotica* მოსახლეობს ხავსზე *Frullania dilatata*, რომლის ფურცლები საზრდოობენ პირველის განავალით.

### ბრძოლა არსებობისათვის ცხოველებთან შორის

ცოცხალ არსებათა ურთიერთ შორის დამოკიდებულობაში დიდი მნიშვნელობა აქვს **ბრძოლას არსებობისათვის**.

ცოცხალი არსებანი მთელი თავიანთი სიცოცხლე განუწყვეტლივ იბრძვიან მაწინააღმდეგე პირობა-გარემოებებთან და სძლევენ ამ გარემოებებს მხოლოდ ისინი, რომელნიც უფრო კარგად არიან შეიარაღებულნი რომელიმე მხრით. არსებობისათვის ბრძოლის აუცილებლობა ბუნებაში აიხსნება გამრავლების იმ დიდი უნარით, რომელიც ყველა ცოცხალ არსებათა აქვთ მინიჭებული.

წარმოვიდგინოთ რომ რომელიმე ცხოველი ან მცენარე მონაშენობს წელიწადში მხოლოდ ერთჯერ და რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისი შთამომავლობის რაოდენობა მარტო ერთხელ ხდება ერთი-ორად მეტი მშობლებთან რიცხვზე.

ყველა შობილმა რომ იცოცხლოს გასამრავლებლად მომწიფებამდე, 20 წლის შემდეგ შთამომავლობის რიცხვი 1,000,000-ზე მეტჯერ იმატებს ( $2^{20}$ ).

ახლა წარმოვიდგინოთ რომ შთამომავლობა ყოველ გამრავლებაზე **ორჯერ** კი არა, არამედ **ათჯერ** ხდება მეტი, მაშინ, თუ სხვა პირობები იგივე დარჩნენ, რიცხვი შობილებისა მშობლებთან შედარებით 6 წლის განმავლობაში იმატებს 1,000,000 ჯერ.

აქედან აშკარად სჩანს ის განცვიფრება, რომელშიაც უნდა ჩავარდეს, ადამიანი როცა გაიხსენებს რომ ზოგი ცხოველები, მაგალ. თევზი, ათასობით, ასი ათასობით, მილიონობით სდებს ერთ დადებაზე კვერცხებს, საიდანაც იმდენივე თევზი გაიზრდებოდა, რომ ყველა დაბადებულს მოწინააღმდეგე პირობა-გარემოებებთან შებრძოლება შეეძლოს და ამ საარსებო ბრძოლაში გამარჯვებული დარჩეს. ცხოველების ან

მცენარეების გამრავლებას რომ არა აპროკლებდეს რა, რომელიმე მათგანი მალე გაავსებდა დედამიწაზე ხმელეთსაც და წყალსაც და სხვათა ცხოველთა ან მცენარეთა დაბადება და გაზრდა დაუტევლობისა გამო შეუძლებელი გახდებოდა. თუ ნამდვილად ამის მაგვარი არა ხდება რა ბუნებაში, ეს იმიტომ რომ მომეტებული რიცხვი შობილებისა იხოცება-იფლიტება და სიცოცხლეს მხოლოდ მცირედი ნაწილი ეღირსება ხოლმე.

მიზეზი ამ ხოცვა-ფლეთისა სხვადასხვაა: ადგილ-მდებარეობის და სხვადასხვა ფიზიკურ მოვლენათა აუტანელობა, მტერთაგან მორევა, პარაზიტებისაგან დაჩაგვრა, შიმშილი და სხვა.

არსებობისათვის ბრძოლა ყველაზე ნაკლებად ინდივიდების შორის პირდაპირ ბრძოლას გულისხმობს.

მართალია, ასეთ ბრძოლასაც აქვს ადგილი ბუნებაში, მაგრამ ისე მცირედი,

რომ ყურადღებაში მისაღები არ არის.

ინდივიდები უფრო იბრძვიან ერთმანეთთან კი არა საქმელის წასართმევად ან სხვა მიზეზით, არამედ იმ პირობა-გარემოებებთან და სატკივარ სენტა წინააღმდეგ, რომელნიც ვნებას უქადდიან ინდივიდს.

გამარჯვებული რჩება ის, რომელსაც უფრო მძიმე პირობების ატანა შეუძლიან, სატკივარს პარაზიტებით გამოწვეულს უფრო ადვილად უძლებს, უფრო ყოჩაღია საქმლის მოვნაში, კარგად არის შეიარაღებული, მარდია, ღონიერია, ჭკვიანია, გამოცდილია და სხვ. თვის ტომთა შორის პირდაპირი ბრძოლა ცხოველებში პირიქით უარყოფილია იმ ინსტინქტით, რომელიც **სოციალურ ინსტიტუტად** იწოდება და რომლითაც ყველა ცხოველები შესამჩნევად არიან გამსჭვალულნი.

**ვ. რცხილაძე.**

## სამეურნეო მაშინების საერთოდ შექება

რაც მეტი ხანი გადის იმდენი მეტი მნიშვნელობა ეძლევათ სამეურნეო მაშინა-იარაღებს, რომელთ ხმარებით ბევრით ნაკლები ხანი უნდება ადამიანი იმ სამუშაოს გაკეთებას, რასაც უამისოდ ხელით აკეთებს, და თავისუფალი დროც მეტი რჩება სხვანაირად გამოსაყენებლად.

ზაფხულობით, როცა გაცხარებული მუშაობაა, ყოველი არამც თუ დღე საათიც კი ძვირფასი საღირსალია, რადგან საქმე საშურო გასაკეთებელია ხოლმე და მუშა კი ძვირი და ძნელი საშოვარია.

ერთი სამკალი მაშინა დღეში, მაგალითად, მკის იმდენს, რამდენსაც 15-20 მუშა. ერთ საღეწ მაშინას დღეში

50—70 კოდი პური შეუძლიან გაღეწვოს.

ჯერ ჩვენში სამწუხაროდ იშვიათად სადმე თუ შეხვდებით სამეურნეო მაშინებს, ისიც დიდ მემამულესთან და არა გლეხობაში.

მიზეზი ამისი, რასაკვირველია, ის არის, რომ მაშინა ძვირად ღირს. საშუალო შეძლების ოჯახისათვის რამდენიმე ასი მანეთის გამოღება მაშინის შესაძენად შეუძლებელია და მასთან არც იმდენი სამუშაო აქვს რომ მაშინა არ მოუტდეს, უკეთუ ზოგორმე შეიძინა.

სამკალ მაშინას, მაგალითად, რამდენიმე ასი დესეტინა შეუძლიან მომკოს თავის დროზე, ჩვეულებრივი შე-



ძღების ოჯახს კი ჩვენში 1—2 დესეტინა ნახნავი აქვს, მეტი არა. აი ამიტომ ის წვრილი მემამულენიც კი, რომელთაც შეგნებული აქვთ ჩვენში მაშინის სარგებლობა, იძულებულნი არიან უსახსრობისა გამო ყოველი თავიანთი სამეურნეო გასაკეთებელი საქმე ისევ ისე აკეთონ ხელით, როგორც მათი მამა-პაპანი აკეთებდნენ.

საშველი კი არის. ასეთ წვრილ მემამულეებს ყოველთვის შეუძლიანთ შეერთდნენ ან სოფლეურად, ან სოფელში რამდენიმე ოჯახი ერთად და ისე გამოიწერონ საჭირო მაშინა, რომელიც ადვილადაც შეიძინება ასე და სარგებლობასაც მეტს მისცემს მყიდველებს, რადგან მათ ერთად სამუშაოც იმდენი ექნებათ, რომ მაშინა არ მოსცდეს.

საზღვარ გარედ სოფლის ხალხმა უკვე შეიგნო ეს გზა და იმდენად გამრავლდა სამეურნეო მაშინა-იარაღების იმათში საერთოდ ასე შეძენა, რომ დღეს იქ უკვე მრავალნი გლეხნი, რომელთაც თითოეულად 1—2 დესეტინა მიწა აქვთ მეტი არა, მაშინითა სთესავენ, მაშინით მკიან, მაშინით ლეწავენ და მიუდგომელ მეზობლებსაც უღეწავენ, უმკიან და აღებულ საქირავნოთი სხვა საქიროებებს იკმაყოფილებენ.

სამხანაგო საწევრო შესატანი ცდილობენ რაც შეიძლება ნაკლები დანი-

შნონ, რომ ღარიბ გლეხსაც შეეძლოს ამხანაგად ჩაეწეროს. შესატანი ინიშნება დესეტინა მიწაზე; ვისაც რამდენი დესეტინა მიწა აქვს დასამუშავებელი, იმის დაკვალად ხედება შესატანიც.

მაშინით სარგებლობენ ჯერით; ჯერი ირკვევა ან წილისყრით, ან მიწების ერთიერთმანეთზე მცუოლებით. არავითარი უსიამოვნობა ან ლაპარაკი ამ საქმეში მათ არ მოსდით, რადგან ყველამ თავის დრო წინადვე იცის კარგად.

მაშინა ყველას სამუშაოს იმაზე ადრე ასწრობს, ვინემ როცა უმაშინოთ კეთდებოდა. პირიქით სხვა არა-ამხანაგებსაც კი უკეთებენ საქმეს და აღებული ფულით მემამულის ჯამაგირს ისტუმრებენ, ან თუ რამე გაუფუჭდა მაშინას აკეთებინებენ და სხვ.

სალეწი ორთქლის მაშინა, მაგალითად, რამდენსამე სოფელს ემსახურება მთელი შემოდგომისა და ზამთრის განმავლობაში. სოფლიდან სოფელში გადააქვთ და ამუშავებენ.

უკვე დიდად საგრძნობელი სარგებლობა მოუტანეს ამგვარად შეძენილმა სამეურნეო მაშინებმა. მაგალითად, გერმანიის გლეხებს.

არც ჩვენი სოფლებისათვის არის ძნელი ამ საქმის ასე მოგვარება, თუ გული ვინმე დაუდო. „გული გულობდეს, თორემ ქადა ორი ხელით იქმება“.

**გ. გულბათიშვილი**

**რად კოტრღებიან მომხმარებელი ამხანაგობანი**

ბევრგან გახსნილან მომხმარებელი ამხანაგობანი, რომელთაც ჰქონიათ მიზნად თავიანთ წევრებისათვის და გარეშე პირებზედაც გასაყიდად კარგი ღირ-

სების საქონელი შეეძინათ იაფათ, შეძლების და გვარად, იმ პირველ სათავეშივე, სადაც ეს საქონელი მზადდება, და კიდევაც ჩაუბამთ ამ პირველ

წყაროებთან უშუამავლო დამოკიდებულება, მაგრამ მაინც და მაინც ბოლოს ან გაკატრებულან ეს ამხანაგობანი, ან და თავიანთი პირველობა აღებმიცემობის გაფართოებაში ისევ კერძო მოვაჭრეებისათვის დაუთმიათ.

რითი აიხსნება ესეთი მოვლენა იმ საქმეში, სადაც ზოგჯერ საუკეთესო უანგარო საზოგადო მოღვაწენი მდგარან სათავეში და უსასყიდლოთ უშუშაენიათ სრულის გულმოდგინებით მაგრამ ამხანაგობა მაინც გაკატრებულა.

მიზეზი ამგვარი მოვლენისა ზოგჯერ ის არის ხოლმე, რომ თვით მეთაურებმა არ იციან, როგორ აწარმოვონ საქმე, ვაჭრობასთან მხოლოდ თეორიულად არიან გაცნობილნი და პრაქტიკულად კი ყოველ მათ მოქმედებას ზარალი ზარალზე მოსდევს.

მომეტებულ შემთხვევაში მომხმარებელი ამხანაგობანი დაიწყობენ თუ არა წვრილ ვაჭრობას მაშინვე ცდილობენ საქმის გაფართოებას, ყოველ ღონისძიებას ხმარობენ ფული ბლომად იზოვონ, ხელგაშლით იღებენ სესხს ზოგჯერ წლიურად 12 პროცენტობაზე, დახლში აყენებენ გამოუცდელ დახლიდრებს და ვაჭრობა თავიდანვე წაგებით წარმოებს, რასაც ვერც დახლში მყოფნი ატყობენ და ვერც მათი უფროსნი, რომელნიც გულწრფელად არიან მოწადინებულნი საქმის კარგად წაყვანას. ვაჭრობის დაწყებისათანავე მყიდველი ჭიანჭველასავით ირევა სავაჭროსთან, ყველა იქ მიდის სასყიდლოდ, დახლიდრები ვერც კი ასწრობენ ყველა მთხოვნელი დააკმაყოფილონ მოუჭრან, აუწონონ ვისაც რა უნდა. ერთი-ორი ასეთი ღლე კერძო მოვაჭ-

რეს რომ დაუდგეს, მყიდველი რომ ასე უხვად მიაწუდეს, მოვაჭრეს ეს ეყოფა, გამდიდრდება, ამხანაგობა კი ამ თავიდანვე იქვეითებს, აქედანვე მასძირი ეთხრება გასახარებლად კერძო მეზობელ მოვაჭრეებისა, რომელნიც შორიდან უყურებენ სეირს და გულში იცინიან.

რაშია განა საქმე?

საქმე იმაშია რომ ამხანაგობის წარმომადგენლებმა წვრილად გასაყიდ საქონელზე სწორე ფასის დადება არ იციან: არ ანგარიშობენ, რომ ამგვარ ვაჭრობაში საქონელი იზნევა, სასწორს გადასდევს, ხმება, ღვება, ერთი სიტყვით, ბევრნაირად ეძლევა ხარჯი. კერძო მოვაჭრეებმა გამოცდილებით იციან რომ წვრილ ვაჭრობაში ესეთი დაბალი ფასებით, როცა მეტადრე დახლიდრებიც ჯამაგირით არიან, ბოლოს ვერ გაატანენ და საამხანაგო ვაჭრობა ადრე თუ გვიან დაიოჩნებს.

რომ მალე აუგონ ანდერძი მათთვის არა-სასურველ მოქიშვეს—ამ საამხანაგო ვაჭრობას, კერძო მოვაჭრეები განგებ აიაფებენ ზოგ სავაჭრო საქონელს. ამათ მიხედვით საამხანაგო ვაჭრობის წარმომადგენელნი რომ მყიდველი არ წაუვიდეთ უფრო დაბლა სწევენ ფასებს და ამასობაში უფრო ღრმად იფლებიან ზარალში. ვერ ხედავენ ვერც მართველნი, ვერც მათი დახლიდრები, რომ კერძო მოვაჭრენი ამ დაბალ ფასეფში მაგდენს არას ჰყიდიან თავიანთი საქონელიდან, ხოლო ხაფანგს უგებენ საამხანაგო ვაჭრობას.

დიდი ზარალი ეძლევა საამხანაგო ვაჭრობას აგრედვე წონაში დაკლებით. ზოგჯერ საქონელს აკლდება წონაში იმდენი, რომ მარტო ამ დანაკლისის



დასაფარავად იხარჯება მთელი მოგება, რაც ვაჭრობით შემოდის.

ვსთქვათ მაგალითად მოიტანეს ერთი ფუთი მაკარონი. ყუთის ზემოდან აწერია 1 ფუთი და 3 გირ. (ეს 3 გირ. ცარიელი ყუთის წონაა). აწონეთ მაკარონი და ნახავთ რომ ფუთის მაგივრად იგი მარტო 36 გირვანქაა, 4 გირვანქა დაჰკლებია გზაში გამოშრობით.

ფუთი მაკარონი ღირს 2 მ. 10 კ., ჰყიდიან 3 მ. 60 კაპ. ანუ 9 კაპ. გირვანქას. დანაკლისი ფუთზე 4 გირ. შეადგენს 9 კ. X 4 = 36 კაპ. ზარალს, მოსატანიც მიღით ზედ. 10 კაპ. და გამოვა რომ ფუთში აიღებენ 3 მ. 60 კაპ. კი არა, არამედ მარტო 3 მ. 14 კაპ. მაშასადამე მოგება ფუთზე იქნება მხოლოდ 24 კაპ., აქედანაც გამოაკელით რაც მაკარონს ამოღება-აწონაში დაფხვნით-დაბნევით დააკლდება და ნახავთ რომ ის 24 კაპ. მოგებაც არ დაგრჩებათ უკლებლივ.

ასე ემართება სხვა სავაჭრო საქონელსაც: საპონს ნაჭრობით გასყიდვაში, შაქარს დამტვრეულს, პურს და ყველა სხვა საქონელს, რომელნიც შრებიან ან იფქვებიან-იმსხვრევიან და ცოტადებიან. რაც წონაში აკლდება ამ საქონელს, იმისვე დაფარვას უნდება მთელი მოგება მათი გაყიდვით მიღებული.

ეს საქონელი კი ისეთია, რომელსაც ყველაზე მეტი გასავალი აქვს, დანარჩენი ცოტა ვადის.

მაშ საიდან უნდა გაისტუმროს ვაჭრობამ ყველა ხარჯი: მაღაზიის ქირა, გათბობა-განათება, ჯამაგირები, აღე-

ბული სესხის სარგებელი და სხვა და სხვა. ყველა ეს, რასაკვირველია, ამცირებს ვაჭრობის მოგებას.

გარდა ამისა საამხანაგო წვრილი ვაჭრობა არა ნაკლებ ილუბება საქონლის ნისიად მიცემით, რაც თავიდანვე ხელგაშლით შეაქვთ ჩვეულებად საამხანაგო ვაჭრობაში.

რაკი გაჩნდება ეს ნისია, მორჩა; თუნდაც რომ მარტო ამხანაგობის წევრებისათვის იყოს იგი, მაინც ვაჭრობა წაგების გზას ადგება.

წევრნი ამხანაგები ჰზიდავენ მთელ საქონელს ნისიად და ვაჭრობას აფერხებენ ამით. დავთრებში გასაღებული საქონლის ფასი 1000 მანეთია, ვსთქვათ, დანიშნული და ნამდვილად კი მარტო 200—300 მანეთი შემოსულა, დანარჩენი 700—800 მანეთი წევრებზე ითვლება, ჯერ შემოტანის ვადა არ დამდგარა. მაღაზიაში საქონელი აღარ არის, მათი ხელახლა შექმნა ნისიის შემოსვლას ელის და სცდება ტყუილად დახლიდარი, იწვევა შეშა-სანთელი, იხდევინება სახლის ქირა და ათასი სხვა ხარჯი.

ვისაც ნისიები ჰმართებთ ისინი კიდევ თავებს არ იცხვლებენ დროზე შემოტანით, რადგან ყოველი მათგანი ასე ფიქრობს: რაო ჩემო, მე ხომ იმაზე მეტი არა მაქვს ნისია წამოღებული, რამდენიც საწევრო შემოტანიაო, მინდა შევიტან, მინდა არა და გამოვეწევი რებიო.

წამბაძავი ბევრი უჩნდება ასეთ მსჯელს და ამხანაგობა კოტრდება და იხურება.

ვ. ვაჭრიშვილი

# უმთავრესი ზამთრის სამუშაოები ვენახში

როგორც მოგეხსენებათ, რთვლის შემდეგ პირველი და უსაჭიროესი საქ-

მე ვაზის გასხვლა, -გასუფთავება გახლავთ. იმ ადგილებში სადაც თბილი

და ზომიერი ზამთარი იცის, გასხვლის საუკეთესო დროთ შემოდგომა ან ზამთარი უნდა ჩაითვალოს. ცივ ყინვიან ადგილებში კი ვენახი გაზაფხულით უნდა გაიხლას. იმ შემთხვევაში თუ გარემოება ხელს გიწყობთ, ე. ი. თუ თქვენ მხარეზედ დიდი ყინვები არ იცის, მაშინ შემოდგომისა და ზამთრის გასხვლა გაცილებით სჯობიან გაზაფხულისას. აი ჩისთვის: გაზაფხულობით ადრე გასხლეული ვაზი ახლად მონაჭერ ადგილიდან მეტად ბევრ წვენს ჰკარგავს\*), რის გამო იგი სუსტდება და ბოლოს ეს გარემოება იმის მსხმიარობა-გამძლეობაზედაც დღათა მოქმედობს. შემოდგომით ან ზამთრით გასხლეული ვაზი სულ მუდამ უზრუნველყოფილია ამ ზარალისაგან, მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგიერთა შემთხვევაში, მაგალითად როდესაც ვაზი მეტად ღონიერია და ამის მიზეზით ცოტა მოსავალს იძლევა, ამ შემთხვევაში საჭირო ხდება ხელოვნურად იმისი დასუსტება; ეს კი გაზაფხულის გასხვლით შეგიძლიანთ მოახერხოთ. ხოლო ეს უკანასკნელი საშუალება აქაურ ვენახებს არასოდეს არ გამოადგება, რადგან ჩვენებური ვენახები მეტად ხშირად არის გაშენებული, თვითეულ ვაზს სულ მცირე ადგილი უჭირავს ვენახში და ამისათვის მცირე საზრდოსაც ღებულობს მიწიდან. მაშასადამე ჩვენი ცდა ის უნდა იყოს, რომ ჩვენ ვაზს მეტი ძალა და ღონე შევარჩინოთ და არ დავასუსტოთ, რადგან რამდენათაც უღონო და სუსტია მცენარე, იმდენათ მას ადვილად ჰბრძოლებს სხვადასხვა გვარი ავადმყოფობა.

რადგან ვაზის გასხვლის წესი უმთავრესად დამოკიდებულია ვაზის ჯი-

შზე და ადგილობრივ პირობებზე, ამისათვის ამ საგანზე ლაპარაკი სულ მეტია, მით უმეტეს რომ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში გასხვლის წესრიგი საუკუნოებით გამოცდილებას უსწავლებია ხალხისათვის და ამისთვის მისი შეცვლა მართლაც დიდი შეცდომა იქნება ჩვენთვის. უმჯობესია ამ წერილში მარტო იმაზე ვილაპარაკო, თუ რა მნიშვნელობა აქვს გასხვლას, ვაზის მსხმიარობა-გამძლეობაზე და ამასთან ყურძნის თვისებაზედაც.

წესიერი გასხვლის წყალობით ვაზი იძლევა მეტ მოსავალს, საუკეთესო თვისების ნაყოფს და კარგად შემოსულ ღონიერ რქას, რომელზედაც დამოკიდებულია მეორე წლის მოსავალი. როგორც მოგეხსენებათ ნაყოფის მომცემ ყლორტებს, იძლევა მხოლოდ ერთი წლის რქა. ის ყლორტი, რომელიც ძველ რქაზე ან თითონ ვაზის ტანზე გამოდის, ნაყოფს არასოდეს არ მოგცემთ.

საზოგადოთ გასხვლის დროს მიღებულია შემდეგი წესი: სუსტი ჯილაგის ვაზები ისხვლება მოკლედ. თამამი და ღონიერი ვაზები კი გრძლად უნდა გაიხლას. გარდა ამისა მიწის თვისებასაც უნდა მიექცეს ყურადღება. თუ მიწა გაბატებული და ღონიერია მაშინ ვაზიც გრძლად შეგიძლიანთ გაჰსხლათ (რასაკვირველია მაშინ თუ ვაზიც თამამია), წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოკლედ. თამამი და ღონიერი ვაზი გრძლათ ისხვლება იმიტომ, რომ ღონიერ ვაზს სანაყოფო კვირტები რქის ძირიდან კი არ ეწყობა, არამედ რამოდენიმე კვირტს ზემოდან. ამისათვის, როდესაც ღონიერ რქას მოკლეთა ვსხლავთ, ცხადია, სანაყოფო კვირტებს ვამორებთ, რადგან ისინი მეტი წილი

\*) ვაზის ტირილის დროს.

ოთხ-ხუთ კვირტს ზემოდან არიან მო-  
 თავსებული ღ ამგვარად გასხლულ ვაზი-  
 საგან, თქვენ მიიღებთ მხოლოდ უნა-  
 ყოფო ღონიერ ყლორტებს და ძალიან  
 მცირე ნაყოფს. მაშასადამე ღონიერი  
 ვაზი საჭიროა გასხლას გრძლიათ, სუ-  
 სტი კი მოკლედ.

პირველი ცდა მევენახესი ის უნდა  
 იყოს, რომ ვაზი მაღლა არ გაუშოს.  
 ყურძენი რაც უფრო ახლო იქმნება მი-  
 წაზე, იმდენათ უკეთესია, რადგან ამ-  
 გვარ პირობებში მარცვლიც უმსხვ-  
 ლდება და კარგადაც მწიფდება ხოლ-  
 მე. გასხვლის დროს ყურადღება უნდა  
 მიაქციოთ ბოლო კვირტს, რომ ის  
 გარედან იყოს მოქცეული.

როგორც ვხედავთ გასხვლას მართ-  
 ლაც დიდი სარგებლობის მოტანა შე-  
 უძლიან, თუ წესიერად მოხდა და თუ  
 არა, მაშინ ზარალსაც დიდს უნდა  
 ველოდეთ იმისაგან. გამოუცდელი ხე-  
 ლით გასხლული ვენახის შემდეგში გას-  
 წორება-მორჯულება ბევრ დროს მოგ-  
 თხოვთ.

თუ კი გარემოება ხელს გვიწყობს,  
 მუდამ ადრეულა გასხვლა უნდა ვამ-  
 ჯობინოთ; თუმცა ზოგიერთა შემთ-  
 ხვევაში გაზაფხულის გასხვლაც საჭი-  
 რო ხდება ჩვენთვის. მაგალითად, თუ  
 ვაზი მეტად ღონიერია და ყვავილის  
 გაცვივნა იცის, მაშინ გაზაფხულის  
 გასხვლა ცოტა არ იყოს უშველის.  
 ერთი კარგი მხარე გაზაფხულით გასხ-  
 ვლისა ის არის, რომ კვირტები გვიან  
 იღვიძებენ და ამისათვის გაზაფხულის  
 სიცივები ვერას ავნებენ მათ. როდესაც  
 გასხვლას მორჩებით, საჭიროა წალამი  
 და ძველი ფოთოლიც მოაშოროთ იმ  
 ადგილს. თუ წალამს საშინაოთ ხმა-  
 რობთ, ხომ კარგი, არა და საუკეთე-

სო იქმნება ყველა ეს დასწოთ და ნა-  
 ცარი იხმაროთ როგორც საუკეთესო  
 პატივი. ამნაირათ თქვენ მიიღებთ ორ-  
 ნაირ სარგებლობას: ჯერ ერთი წალმი-  
 სა და ფოთლის დაწვით თქვენ მოს-  
 პობთ სხვადასხვა ავადმყოფობას და  
 მეორეს მხრით მუქთად შეიძენთ საუკე-  
 თესო კალინარევე სასუქს. საკმარისია  
 ვაზის გარშემო პატარა ორმო მოსთხა-  
 როთ და შიგ  $1/2$  გირვანქა ამ ნაცრისა  
 მოაყაროთ.

მეორე უმთავრესი სამუშაო ვენახის  
 გადაბარვაა, მაგრამ სამწუხაროთ ბევრს  
 არ ესმის დაბარვის მნიშვნელობა. ჩვე-  
 ნებური ვენახები ან ნაჭერ-ნაჭერიბა-  
 რება, ან სამი წლის განმავლობაში  
 ერთხელ ბევრი ვენახი თითქმის ათი  
 წლობით დაუბარავი რჩება, რის გა-  
 მოც ვენახებში ჩნდება სხვადასხვა გვა-  
 რი უბრალო ბალახები, მიწა ყამირდება,  
 ე. ი. მავრდება, რის გამო როგორც  
 ჰაერი ისე წვიმა და თოვლის წყალი მას  
 ველარ ატანს და ასე უპატრონოთ გა-  
 შვებული მამული დღითი დღე უკან  
 მიდის და ბოლოს ხმება კიდევ.

დღეს კი ყველას კარგათ ესმის, რომ  
 ვაზისათვისაც ისე საჭიროა ჰაერი, რო-  
 გორც ადამიანისათვის. მცენარის სი-  
 ცოცხლე დამოკიდებულია სითბოზედ  
 და სინესტეზედ. მოაკელით ერთი მათ-  
 განი და მცენარეც დიდხანს ველარ და-  
 რჩება ცოცხალი.

მაშასადამე, თუ გსურთ რომ თქვენ-  
 მა მცენარემ დიდხანს იცოცხლოს და  
 ამისთან სარგებლობაც მოგიტანოთ იმის  
 ფესვებს თქვენ ნუ მოაკლებთ ჰაერს,  
 სითბოს და სინესტეს. ეს კი შეგიძლი-  
 ანთ მოახერხოთ მაშინ, როდესაც თქვენს  
 მამულს არ მოაკლებთ ბარვას. რასა-  
 კვირველია გაფხვიერებულ მიწაში რო-

გორც სითბო ისე ჰაერი და წყალიც ადვილად მოჰხვედებიან ვაზის ფესვებს. გარდა ამისა გადაბარულ მიწაში სინესტიც დიდხნობამდის ინახება. მეორეს მხრით დაბარვის წყალობით ვენახში ისპობა სხვადასხვა უბრალო მავნებლები. იმ მამულის ნაყოფი სადაც ბალახს სრულებით არ გააწაწანებენ ცხადია უფრო მსხვილი იქნება და კარგადაც დაშვითდება — ვიდრე შამბ მოდებულ ვენახში.

როგორც ხედავთ დაჰბარვა აუცილებელი საჭიროება ყოფილა მამულისათვის. რაც უფრო ღრმად იქმნება მიწა გადაბარული, იმდენად უკეთესია. დაბარვის დრო დამოკიდებულია შემდეგ ადგილობრივ პირობებზე: თბილ ალაგებში, როგორც მაგალითად საქართველოში, ვენახის დაბარვა შეიძლება შემოდგომიდან დაწყებული ვიდრე აპრილამდის. რამდენადაც მშრალია ზედაგი, იმდენად ადრე სჯობიან იმისი გადაბარვა; ეს იმისათვის რომ გაფხვიერებული მიწა ძალიან ადვილად შეიწოვს შემოდგომის წვიმას და ზამთრის თოვლს და ამ სინესტეს იგი დიდხნობამდისაც შეინახავს. უკეთესი თქვენი მამულის მიწა მძიმე თიხნარია, მაშინ ცოტა გვიან სჯობს იმისი გადაბარვა, რადგან ამგვარმა ზედაგმა ძალიან მალე იცის დაქვევა. თუ დაჰკვირებული ხართ ადრეულა ნაბარში ვაზს ძალიან ადრე გამოაქვს ყლორტები, ამ გარემოებასაც ყურადღება უნდა მიაქციოთ. თუ თქვენი ადგილობრივი ჰავა საზოგადოთ გაზაფხულობით ცივი ყინვიანია, ამ შემთხვევაში გადაბარვა ცოტათი უნდა შეაგვიანოთ. მუშაობის დროს ბარი ძალიან ფრთხილად უნდა იხმაროთ, რომ ვაზს კრილობები არ გაუკეთოთ, რადგან ამგვარმა კრილობებმა

გვიან იციან გამრთელება და ხშირად ვაზი ღვება კიდევ. როდესაც ვამბობ, ვაზს ძირს ბარი არ მოახვედროდ მეთქი, ეს სრულებით არ ეხება ვაზის იმ წვრილ ფესვებს, რომლებიც მიწის ზედა პირთან ახლოს იმყოფებიან. პირიქით ამგვარ ფესვებს განგებ ხშირად აქრიან კიდევ რომ ძირის ფესვები უფრო გათამამდნენ და გამაკრდნენ, რადგან მცენარის სიცოცხლე და გამძლეობა სწორედ ამ ფესვებზედაა დამოკიდებული; ზემოთა ფესვები კი უფრო დროებითია, რადგან როგორც სიცხე ისე სიცივე ძალიან მალე აფუჭებს მათ.

მაგრამ ზოგიერთა შემთხვევაში ეს ზემოთა ფესვებიც სასარგებლონი ხდებიან მცენარესათვის. მაგალითად როდესაც ვენახის ნიადაგი თიხნარი და ქაობიანია, აი ამგვარ ადგილზე მეტწილად ზემოთა წვრილი ფესვები ასახორდობენ მცენარეს, ქვეთა უმთავრესი ფესვები კი არ იზრდებიან, ხშირად ღვებიან კიდევ მეტი სინესტისა და ზედაგის სიმაგრის გამო.

არის კიდევ ერთი უმთავრესი ზამთრის სამუშაო, სახელდობრ ვენახის გაპატიება.

ვენახებს მეტწილად საქონლის ნეხვით აპატიებენ, რომელსაც 4—5 ვერშოკის სიღრმეზე ჩაჰბარვენ ხოლმე. მოფანტული სასუქი, თუ მიწას ზედა პირზე დიდხანს დარჩა ჩაუბარავი, ცუდათ მოქმედობს ვაზის დაყვავილებაზე, როგორც ზოგიერთა გამოცდილი მვენახეები გადმოგვცემენ. ამ დროს ვაზის ყვავილზე ჩამოცვივნა იცის თურმე. გარდა ამისა ჩაუბარავი სასუქი ჰაერისა და წვიმის ზედგავლენით ჰკარგავს ზოგიერთა თავის ნოყიერებას.



იმისათვის რომ თქვენი მამული მეტად არ დაიღალოს და უარი არ გითხრათ მოსავალზე, საჭიროა ყველა ის დანაკლისები, რომლებსაც მცენარე ართმევს მიწას, შეუშნოთ პატივის დაყრით.

როგორც ჩვენ „მოსავლის“ წინა წერილებში გვქონდა ლაპარაკი, ყველა მცენარის უმთავრეს საკვებავებს შეადგენენ შემდეგი ნივთიერებანი: ფოსფორის სიმკვლე, კალი და აზოტი. ყველა ესენი კი საქონლის ნებვში უხვად მოიპოვებიან. ვიდრე თქვენი ვენახის გაპატივებას შეუდგებოდეთ, ჯერედ საჭიროა იცოდეთ, თუ რამდენი სასუქი დასჭირდება იმას, რადგან როგორც ნაკლებად შეტანილი სასუქი არ მოგიტანთ სარგებლობას, ისევე უზომოდ გაპატივებული ვენახი შემდეგში ზარალის მეტს არას მოგცემთ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვაზი თამამად დაიწყებს ზრდას, მოგცემთ მსხვილ რქას და დიდ ფოთლებს, ნაყოფს-კი ძლიერ ნაკლებად. ამისათვის უმჯობესია მივმართოთ მეცნიერულ გამოკვლევას, რომელიც ცხადათ დავგანახებებს, თუ რა ზომით ჰხარჯავს მცენარე ამა თუ იმ საკვებავებს. ერთი ფუთი მზებედ გამხმარი ვაზის რქა შეიცავს 1/3 გირვ. კალის და 1/7 გირვ. ფოსფორის სიმკვლევს.

ერთი ფუთი ყურძნის მარცვალში კი მოიპოვება 1/17 გირვ. კალი და 1/24 ფოსფორის სიმკვლე.

მაშასადამე თვითველ სამ ფუთ ვაზის რქას ანუ 17 ფუთ ყურძნს მიწიდან ამოაქვს 1 გირვ. კალი.

შვიდი ფუთი გამხმარი რქა ან 24 ფ. ყურძენი კი 1 გირვანქა ფოსფორის სიმკვლევს ჰხარჯავს მიწიდან.

ერთი დესეტინა ვენახი იძლევა გამხმარ წალამს 120—240 ფუთამდის,

ყურძენს 100—400 ფუთამდის. ამნაირად ყოველი წლიური მოსავალი ვენახისა მიწიდან ჰხარჯავს დაახლოებით 46—104 გირვ. კალის და 22—50 გირ. ფოსფორის სიმკვლევს.

აი რაოდენობა, იმ საკვებავ ნივთიერებათა, რომლებსაც აძლევენ მიწას სხვადასხვა გვარი სასუქები:

ერთი ფუთი:	აზოტი	კალი	ფოსფორის
	მის	ხა	ლი
რქიან საქონლის ნებვი	16	15,36	6,14
ცხენის პატივი . . . . .	22,27	20,35	10,75
ცხვრის . . . . .	31,87	25,73	8,83
ღორის . . . . .	17,28	23,04	7,29
ფრინვლის . . . . .	67,58	33,40	68,35

ნაცარი:	კალი	ფოსფორის
	სიმკვლე	სიმკვლე
ფოთლიან მცენარეებისა.	384	— 248
ნაძვი და სხ. იმგვარ მცენ.	232	— 172
ნამჯის . . . . .	866	— 104

ეს ზემოთ მოყვანილი გამოკვლევანი, ჩვენ ძალიან გავგვიადვილებს იმ კითხვის ახსნას თუ რანაირი რაოდენობით უნდა ვახმაროთ ესა თუ ის ბუნებრივი სასუქი. მაგრამ რაც შეეხება იმ კითხვას, ხშირად სჯობია ვენახის გაპატივება თუ არა, ეს დამოკიდებულია მხოლოდ მიწის თვისებაზედ მაინც სჯობია რომ ხშირად ცოტ-ცოტა სასუქი ვახმაროთ მამულს, ვიდრე იშვიათად და ერთბაშათ ბევრი. მძიმე ქაობიან და თიხნარ მიწებს სჯობია უფრო იშვიათად მივცეთ სასუქი, ვიდრე მსუბუქ ქვიშნარ მიწებს. გარდა ამისა მძიმე მიწაში უფრო ღრმათ უნდა ჩაიბაროს სასუქი, ქვიშნარ მიწებში კი უფრო ზეზე.

ვენახისათვის საუკეთესო სასუქათ საქონლის ნებვი უნდა ჩაითვალოს. ცხენის სასუქს უფრო ცივ ქაობიან ნიადაგებისათვის ხმარობენ, რადგან ქვიშნარ მიწაზედ მოყრილი ცხენის პატივი ხშირათ სწვავს მცენარის ფეს-



ვებს. გარდა ამისა ცხენის ახალი სასუქი ცუდათ მოქმედობს თვით ღვინის თვისებაზედ, რადგან იმაში მეტად ბევრი აზოტი მოიპოება, ამისათვის ვენახის გასაპატიებლად დაძველებული ცხენის სასუქი უნდა იხმაროთ. უკეთეს ახალია ეს სასუქი, მიწა უნდა გაუროთ და ისე მოაყაროთ ვენახს... ცხენის პატივი უფრო მხურვალეა ცხენისაზედ, ამისათვის ამ შემთხვევაშიაც მიწის გადარევაა საჭირო. ცხენის დრემლათი გაპატივებული ვენახიც საზოგადოთ ცუდი გემოს ღვინოს იძლევა.

ლორის სასუქიც აგრეთვე ცუდად მოქმედობს ღვინის გემოვნებაზედ. ხმარების დროს სჯობს ცხენის სასუქთან ერთად აუროთ და ისე მოაყაროთ მიწას.

რადგან ფრინველის სასუქში ძალიან ბევრი აზოტია, ამისათვის ეს უკანასკნელიც ან მიწას, ან ნაცარს უნდა გაუროთ და ისე იხმაროთ.

ამ გვარი სასუქი ერთ დესეტინას დაახლოებით 12—15 ფუთი ეყოფა.

100 ფრთა შინაური მტრედი ერთი წლის განმავლობაში იძლევა 10 ფუთ სასუქს—100 ქათამი 70 ფუთს.

ნაცარი ძალიან სასარგებლო პატივია განსაკუთრებით მძიმე თიხნარ მიწებისათვის, მსუბუქ ქვიშნარ მიწებისათვის კი ძალიან ფრთხილად უნდა იხმაროთ. ხმარების დროს ნაცარს ცოტა მიწაც უნდა გაუროთ და ვაზის ძირს გარშემო ჩაუბაროთ, ისე რომ ნაცარი არც ვაზის ტანს და არც ფესვებს ახლო არ მოჰხვდეს.

ერთი დესეტინის გასაპატიებლად საკმარისია 40—75 ფ. ნაცარი. რაც უფრო მეტი კალი იქნება ნაცარში იმდენად ის ნაკლები დაგჭირდებათ. დამწვარი წალმის და ფოთლის ნაცარი საუკეთესო სასუქად უნდა ჩაითვალოს, მეტადრე იმ შემთხვევაში, როდესაც თქვენი ვენახი თიხნარ მიწაზეა გაშენებული.

**გ. ნახუტრიშვილი**

# შინაური ცხოველების კუჭისა და ნაწლავების ავადმყოფობანი

1) ცოხნის აკმინდვა მცოხნავ ცხოველთაგან, — 2) ჭამის მადის სისუსტე ცხოველთა, — 3) სიგამხდრე ცხოველთა.

ესეთი მოვლენები ცალკე ავადმყოფობათ არ უნდა ჩაეთვალოთ: ისინი მხოლოდ ნიშნები არიან რომელიმე ავადმყოფობისა. უმეტეს შემთხვევაში ცოხნის მოსპობა, ან ჭამის მადის სისუსტე, ან და სიგამხდრე ცოველისა სტომაქის სისუსტისა და მოშლილობის ნიშნები არიან. არიან კიდევ ბევრი სხვა ავადმყოფობანიც, რომელთაც ასეთივე

ნიშნები აქვთ. (მაგ. ციებ-ცხელება, გადამდები ავადმყოფობანი: ციმპირის ჭირი, საქონლის ჭირი და სხვ.)

**ეკიმობა.** როდესაც ჩვენ გამოცდილება და დაკვირვება გვაკლია და მხოლოდ იმას ვამჩნევთ, რომ ცხოველს მადა არა აქვს ჭამისა, ან მცოხნავი ცხოველი ვეღარ იცოხნის, ან და ცხოველი გამხდარია, ხოლო სხვა ნიშნებს ავადმყოფობისას კი ვერ ვამჩნევთ, შეცდომად არ ჩაგვეთვლება, თუ ასეთს შემთხვევაში ვიხმარებთ პირდაპირ სტომაქის სისუსტისა და მოშლილობის სა-



წინააღმდეგო საშუალებებს. თუ სხვა არაფერი ავადმყოფობა არა აქვს ცხოველს, ჩვენი ექიმობა მიზანს მიაღწევს, თუ სხვა ავადმყოფობაა რამე, და ეს საშუალებები საზარალო მაინც არ იქნებიან. ესეთი საშუალებანი არიან.

**ა) ასისტავას ძირი.** ძლიერ უხდება ცხენს. ერთ მიღებაზე ცხენისათვის უნდა ავიღოთ 4 მისხლი; მსხვილფეხა მცოხნავი ცხოველებისათვის (ხარი, ძროხა, კამეჩი)—8 მისხალი; წვრილფეხა მცოხნავი ცხოველებისათვის (თხა და ცხვარი)—2 მისხალი; ღორისათვის 1 მისხალი; ძაღლისათვის  $1/2$  მისხალი. წამალი ცხოველს ან უნდა წყლით მივალდებინოთ, ან და საჭმელში შევურევთ, მოვაყრით ზედ ფეხნილად. წამალი დღეში ორჯელ უნდა მიეცეს ცხენისათვის კარგი იქნება რომ წამალს დაფხვნილი გლაუბერის მარილი გადურით 4 მისხალი.

ძაღლისათვის ხმარობენ კიდევ ასისტავას ძირზე დაყენებულ სასმელს. ამ სასმელს მოამზადებენ ასე: ერთ ნაწილს წონით წვრილად დაჭრილს ასისტავას ძირისას, დაასხამენ ზედ ხუთ ნაწილს ღვინის სპირტს (70%) და დასდგამენ ასე რამდენიმე დღე. მერმე იხმარებენ. მისცემენ ცხოველს თითო მიღებაზედ 20—30 წვეთს წყლით ან საჭმელში დღეში რამდენჯერმე.

**ბ) ფშალა ანუ სვია ბალახის ფოჩები (ყვავილები).** ამას მისცემენ ცხოველს საჭმელთან ერთად დღეში ორჯელ.

**გ) აბზინდა ბალახი.** ეს ბალახი ძლიერ უყვარს მცოხნავ ცხოველებს. ერთ მიღებაზედ მსხვილფეხა მცოხნავი ცხოველებისათვის საკმაოა 10 მისხალი; წვრილფეხა მცოხნავ ცხოველებისათვის—3 მისხალი; ღორისათვის—2 მისხალი. მიეცემა ცხოველს საჭმელთან და წყალთან ერთად. მივალდებინებთ და ნახარშში მივალდებინებთ.

თვის—3 მისხალი; ღორისათვის—2 მისხალი. მიეცემა ცხოველს ნედლად ან და ხმელს დავფხვნიოთ და შევურევთ საჭმელში. შეიძლება მოვხარშოთ და ნახარშში ვიხმაროთ. კარგი იქნება საჭმელი მარილის შერევა ამ წამალში. მივალდებინებთ წამალს დღეში ორჯელ.

ძაღლისათვის აბზინდა ბალახზე დაყენებულ სასმელს ხმარობენ. ისე ამზადებენ როგორც ასისტავას ძირზე დაყენებულს. მისცემენ ცხოველს საჭმელთან ან წყლით 20—30 წვეთს დღეში რამდენჯერმე.

#### **დ) კოთხოჯის ანუ ეგირის ძირი.**

ერთ მიღებაზედ ცხენისათვის—3 მისხალი; მსხვილფეხა მცოხნავი ცხოველებისათვის— $2\frac{1}{2}$  მისხალი; ღორისათვის—1 მისხალი; ძაღლისათვის— $1/2$  მისხალი. მისცემთ ცხოველს საჭმელში ან წყლით 3-ჯერ დღეში. კარგი იქნება, თუ ეგირის ძირთან ერთად შევურევთ კიდევ ასისტავას ძირსა და აბზინდა ბალახს, სამივეს თანასწორად, და ამ ნარევის მიეცემთ ცხოველს იმ ზომით, როგორც კოთხოჯის ანუ ეგირის შესახებ ვსთქვით. ძაღლისათვის ხმარობენ კიდევ კოთხოჯის ძირზე დაყენებულ სასმელს, რომელსაც ისევე აყენებენ, როგორც ასისტავას ძირზე და აბზინდა ბალახზე ვსთქვით. მივალდებინებენ 20—30 წვეთამდის რამდენჯერმე დღეში საჭმელთან ან წყლით.

**ე) პიტნა.** ამისას ნახარშს ხმარობენ. ერთ მიღებაზედ ცხენისათვის 3 მისხალი პიტნა იხარშება; მსხვილფეხა მცოხნავი ცხოველებისათვის—7 მისხალი; წვრილფეხა მცოხნავი ცხოველებისათვის— $2\frac{1}{2}$  მისხალი; ღორისათვის—1 მისხალი. შეიძლება მოუხარშავათაც ვიხმაროთ. მივალდებინებთ ცხოველს საჭმელთან ან წყლით 3-ჯერ დღეში.



**ვ) იპეკაკუანის ძირი.** იხმარება დაფხვნილი მცოხნავე ცხოველებისათვის ცოხნის გამოსაწვევად. მსხვილფეხა მცოხნავ ცხოველებს ერთ მიღებაზედ—1 მისხალი; წვრილფეხა მცოხნავ ცხოველებს— $1/2$  მისხალი. მიადებინებენ წყალით ან საქმელით. შეიძლება ეს წამალი ერთად შეურიოთ ასისტავასთან, აბზინდასთან და კოთხოჯთან.

**პირიდან საქმობა შინაურ ცხოველებში**

შინაურ ცხოველებში პირიდან საქმობა მარტო ხორცის მჭამელ ცხოველებს ემართებათ (ლორს, ძაღლს, კატას).

მცოხნავ ცხოველებს შეიძლება გულის რევაც ჰქონდეთ, შეიძლება საქმელი კუჭიდან პირშიაც ამოუვიდეთ, მაგრამ პირიდან კი არ ასაქმებენ, რადგან კუჭიდან პირში ამოსულ საქმელს ცხოველი ცოხნას დაუწყებს და მერმე ისევ გადაყლაპავს.

ცხენსაც მოუვა ხოლმე გულის რევაც, მაგრამ მას ამ დროს კუჭის თავი (ე. ი. საქმელის შესავალი კარი კუჭისა) ისე მაგრად ეხურება, რომ საქმელის კუჭიდან პირში ამოსვლა შეუძლებელი ხდება, ასე რომ პირიდან არც ცხენს ასაქმებს ხოლმე.

**მიზეზი.** ხორცის მჭამელ ცხოველების პირიდან საქმობის მიზეზი უმეტეს შემთხვევაში ძნელად მოსანელებელი საქმელით გაძლომაა. ამის გარდა, პირიდან საქმობა ემართებათ კიდევ ცხოველებს როცა კუჭის კატარი აქვთ, მოიწამლებიან და კიდევ ბევრ სხვა ავადმყოფობის დროს.

**ექიმობა.** თუ პირიდან საქმობა მოუნელებელი საქმელით არის გამოწვეული, უნდა ვეცადოთ ცხოველს კუჭი

გავუსუფთავოთ. ამისათვის ხმარობენ საფალარათო საშუალებებს:

1) სასაქმებელს ზეთს, ან სელის ზეთს: ღორისათვის 3—4 სტოლის კოვზი; ძაღლისათვის 1—3 სტოლის კოვზი; კატისათვის  $1/2$ —1 სტოლის კოვზი. მივადებინებთ ცხოველს ან პირდაპირ, ან წყლით, ან რძით, ან კვერცხის გულით (გავქნით ზეთს კვერცხის გულში), ან ფაფათი (ცოტა წყალსა და ცოტა ფქვილს მივუმატებთ ზეთს, გავქნით ერთად და ისე მივადებინებთ ავადმყოფს).

2) გლაუბერის მარილს: ღორისათვის 3—6 მისხალი, ძაღლისათვის 2—5 მისხალი, წყალში გახსნილად.

3) სინამანქის ფოთოლს: ღორისათვის 1—2 მისხალი; ძაღლისათვის  $1/2$ —1 მისხალი; კატისათვის— $1/2$  მისხალი. მოვხარშავთ და ნახარშს მივადებინებთ ან პირდაპირ, ან ცოტა ფქვილს შევურევთ.

4) საბირს (საბური): ღორისათვის  $1/2$ —1 მისხალი; ძაღლისათვის— $1/2$  მისხალი. მოვაფაფავებთ და ისე მივადებინებთ. ძაღლისათვის შეიძლება აბი გავაკეთოთ ცომით და ისე მივადებინოთ.

თუ პირიდან საქმობა კუჭის კატარიითაა გამოწვეული, მაშინ ცხოველს 1—2 ჩაის კოვზს რევანდის ტინქტურას მივადებინებთ წყლით. ან და „სოდას“ ან მაგნეზიას  $1/4$ — $1/2$  ჩაის კოვზს, ამასაც წყლით.

თუ პირიდან საქმობამ სასტიკი ხასიათი მიიღო, მის შესაჩერებლად კარგი იქნება ცხოველს ყინულიანი წყალი, ან მაგარი შავი ღვინო ვასვათ, ან და თოვლი ან ყინული ვაყლაპოთ.

თუ პირიდან საქმობა არ შედგა,



კატა ბალახის ან გვირილა ბალახის ყვავილებების ნახარში, ან ყავა უნდა დაეალევინოთ. კარგი იქნება დასალე-

ვნივლებს 2 - 8 წვეთი თრიაქის (ობიუ-მის) ტინქტურა გაეუროთ.

გრ. ცხადაძე

# როგორ ავრცელავენ სამეურნეო ცოდნას ამერიკაში

(„Хозяйство“)

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში მეურნეობის განვითარების საქმეს სხვათა შორის დიდ სამსახურს უწევენ ეგრედ წოდებული „სადღელი სადგურები“, რომელნიც ამ რამდენიმე წლის განმავლობაში თითქმის მთელ ამერიკას მოეფინენ. საცდელ სადგურებში იკვლევენ ადგილობრივ პირობების მიხედვით მეურნეობის სხვადასხვა საკითხებს და ამ კვლევა-ძიების შედეგს ავრცელებენ მეურნეთა ფართო წრეებში რათა გამოიყენონ მათ პრაქტიკულ ცხოვრებაში. ხერხიანმა ამერიკელებმა ამ მხრივაც ჩვეულებრივი უნარი გამოიჩინეს: მოაწყეს საგანგებო სასოფლო-სამეურნეო მატარებლები, რომელნიც იგზავნიან აქეთ-იქით სადგურებზე, საცა კი ბლომათ შეიძლება შეიყარნენ მეურნეები. ამ საქმეს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი საცდელი სადგურები. მატარებელს მიაქვს სადგურის კვლევა-ძიების შედეგები მოძრავ მუზეუმის, სურათების, ცხრილების, ცოცხალ მაგალითების და ლექციების სახით, რომელთაც სადგურის აგენტები უკითხავენ და უჩვენებენ ხალხს.

გაზაფხულზე, მაგალითად, შტატ ინდიანას „სიმინდის მატარებელი“ უვლის, რომელიც თითქმის ყოველ სადგურზე ჩერდება რამდენიმე ხნით. საცდელ სადგურის აგრონომები, რომელნიც ამ მატარებელს დასდევენ, უხსნიან შეგროვილ მემამულეთ, თუ

რა გამოიკვლია სადგურმა სიმინდის მოყვანის შესახებ, უკითხავენ ლექციებს, აჩვენებენ სურათებს, სიმინდის სხვადასხვა შესანიშნავ ჯიშებს, ესაუბრებიან სიმინდის მოსავლის რაოდენობაზე, ადგილობრივ პირობების გავლენაზე და ბოლოს სხვადასხვა ფურცლებს ურიგებენ უფასოდ, სადაც ყველა ეს მოთხრობილია.

ამავე შტატ ინდიანას შარშან, შემოდგომას უვლიდა ხუთი ვაგონისაგან შემდგარი „მერძეობის მატარებელი.“ ერთი ორ-განყოფილებიანი საქონლის ვაგონი, სადაც ძროხები იმყოფებოდნენ და დანარჩენი ოთხი — სამგზავრო ვაგონები, სადაც ლექციებს უკითხავდნენ. აქვე ჰქონდათ მერძეობაში საჭირო იარაღები საჩვენებლად.

მატარებელი მოვიდა. სადგურზე უკვე 50—200-დე მეურნეა შეგროვილი, რომელნიც მატარებლის გაჩერების უმაღლვე ვაგონებში შედიან და მათთვის დამზადებულ ალაგებს იჭერენ. იწყობა მარტივი, ადვილ გასაგები, მოკლე, მაგრამ რთული ლექცია მერძეობის შესახებ. საუბარი ნახევარ საათსა გრძელდება. ამის შემდეგ საქონლის ვაგონისაკენ მიეშურებიან. იღებენ პირველ განყოფილების კარი.

— „აქ თქვენ ხედავთ, იწყობს აგრონომი“, ჯერზეის წმინდა ჯიშის ძროხებს. განა ვისმეს თქვენგანს შეუძლიან ამათი განსხვავება დაგვანახვოს, ამ ორში უკეთესი გამოარჩიოს. არა. ნამდვი-

ლად კი ეს ორივე ერთი მეორესაგან ბევრით განირჩევიან. აი ამ პირველის შენახვა წლიურად 100 მანეთამდის ჯდება და ამავე ხნის განმავლობაში 117 მან. და 50 კ-ის რძესა და კარაქს იძლევა. წმინდა შემოსავალი ამ გვარად 17<sup>1/2</sup> მან. უდრის. მეორე ძროხის შენახვა 100 მან. ჯდება, მაგრამ კარაქს 190 მან. იძლევა. მაშასადამე მეორე ძროხის წმინდა შემოსავალი (90 მან.) პირველ ძროხისაზე ხუთჯერ მეტია. ყველა ეს ჩვენ მხოლოდ მას შემდეგ აღმოვაჩინეთ, როცა ყოველ დღე ძროხაზე დახარჯულ საკვებისა და მის მიერ მოცემულ რძე-კარაქის რაოდენობის ჩაწერა შემოვიღეთ წესად განსაკუთრებულ სავარაუდო წიგნაკებში.“

ამ დროს დამსწრეთ საყოველღეო ანგარიშის სანიმუშო ფურცლებს და დაბეჭდილ ლექციებს ურიგებენ.

— „მხოლოდ ყოველ დღიურ ვარაუდით, ისეთით, როგორიც აღებ-მიცემობაშია შემოდებული, მიაღწევთ იმას, რომ თქვენმა საქონელმა უდიდესი სარგებლობა მოგიტანოთ. ჩვენ შტატში 600 ათასამდე ძროხა ითვლება. სამში ერთი პირველად ნაჩვენებს ძროხის ჯურისაა, მაშასადამე 200 ათასამდე ძროხა თითქმის არავითარ შემოსავალს არ იძლევა.“

— „მაგრამ ესეც არა კმარა, განაგრძობს აგრონომი, ჯერზეის ჯიშის ძროხა მხოლოდ იმ ადგილას იძლევა ხეირს, სადაც უმთავრესად კარაქს ამზადებენ, რადგან ამის რძე მეტად მსუქანია.“

— თქვენ კი სხვა პირობებში ხართ. თქვენ ხელშია ქალაქი ჩიკაგო, რომელსაც აუარებელი ტკბილი რძე სჭირდება. აქ შეგიძლიანთ მრავლად გაასაღოთ თქვენი რძე. კარაქის წარმოება

კი თქვენთვის ამ პირობებში საზარალო იქნება, რადგან რძეს მეტი გასაფალი აქვს და უფრო ძვირადაც გაჰყიდით ქალაქში. ამიტომ თქვენ უნდა შეეცადნეთ, რაც შეიძლება მეტი რძე მიიღოთ და არა კარაქი“...

ამის შემდეგ აგრონომი ვაგონის მეორე განყოფილების კარებს აღებს, რომელშიაც ჰოლშტინის ჯიშის ძროხა სდგას.

— თქვენ წინ, ბატონებო, იწყობს ახლად აგრონომი, ჰოლშტინის ჯიშის ძროხაა. მისი შენახვა წელიწადში 120 მან. ჯდება, კარაქს მხოლოდ 170 მან. იძლევა, რძეს კი 380 მანეთისას. ამის რძეში. ცხიმი, ერბო უფრო ნაკლებად არის, ვიდრე მეორე ჯერზეის ძროხის რძეში თქვენთვის არც საჭიროა ბევრი ერბო-კარაქის მიღება, ოღონდ რძე ბლომად დაგიდგეთ. ეს ძროხა, როგორც ჩვენი დღიურიდანაცა სჩანს, წელიწადში 406 ვედრა რძეს იწვევს, ე. ი. წონით რომ ვიანგარიშოთ, თავის წონაზე 10 ჯერ მეტს“.

ამის შემდეგ მსმენელთ ძროხის სხეულის და ცურის აგებულებას უხსნიან, ცურისაკენ სისხლის გამტარებელ მილების მნიშვნელობას და დასასრულ, კარგ მეწველ ძროხის საერთო დახასიათებას აძლევენ.

ლექცია დასრულდა. მატარებელი ახლა სხვა სადგურისაკენ მიექანება. სხვადასხვა ფურცლებით დატვირთული ხალხიც შინისაკენ მიეშურება.

მეტი საგულისხმო აქ კიდევ ის არის, რომ ამგვარ საქმეს დიდის ყურადღებით და ინტერესით ეკიდებიან რკინის გზების პატრონებიც, რომელნიც კარგად ხედავენ, რამდენად ხელსაყრელია მათთვის მეურნეობის გაუმჯობესება იმ ადგილებში, სადაც მათი გზები გადის,



რადგან ამასთან ერთად საქონლის გადა-  
ზიდვ-გადმოზიდვაც ხდება და მაშასადა-

მე გზის შემოსავლიანობაც შესაძინე-  
ვად მატულობს. სტულ. გ. რცხილაძე

## როგორ იშოვავს სოფ. გ. მხროვრიებლავა ფული სამეურნეო-საოჯახო საქირებინათვის

(დასასრული)

ერთი კვირის შემდეგ ყველა ხელის  
მომწერლებმა მოიყარეს ერთად თავი  
და მოახდინეს პირველი საერთო კრება.  
კრებაზე დაესწრო სახელმწიფო ბანკი-  
დან წვრილი კრედიტის ინსპექტორიც.  
მან აუხსნა კრებას, თუ როგორ უნდა  
ისარგებლონ ფულით და როგორ უნდა  
აწარმოვონ ამხანაგობის საქმეები.

— უბირველეს ყოვლისა, უხსნიდა  
ინსპექტორი: უნდა გახსომდეთ თქვენ,  
რომ საკრედიტო ამხანაგობა არის თქვე-  
ნი საკუთრება და ყოველივე მისი სა-  
ქმე თქვენ უნდა აწარმოვოთ. ყოველ  
თქვენგანს აქვს ნება ფულის გამოტა-  
ნისა; მაგრამ თქვენგანმა არავინ არ  
უნდა იფიქროს: ფულს გავიტან და  
მერე როგორც უნდათ, ისე აწარმო-  
ვონ ამხანაგობის საქმეებშიო. თუ ასე  
მოიქცევიან, თქვენი ამხანაგობა დიდ-  
ხანს ვერ იბოგინებს, ადრე თუ გვიან  
დაიკეტება და მაშინ თქვენთვისვე იქ-  
ნება ცუდი. თქვენ დღეს ამოირჩევთ  
სამს კაცს, რომელნიც შეადგენენ გამ-  
გეობას. გამგეობა აწარმოებს ამხანაგო-  
ბის საქმეებს: აძლევს სესხად ფულს და  
იღებს უკან, გამოაქვს ფული სახელმ-  
წიფო ბანკიდან და სხვებისგანაც სეს-  
ხულობს, თუ კი საჭირო იქნება ამხა-  
ნაგობისათვის და სხ. მაგრამ მარტო  
გამგეობას არ უნდა მიენდოთ; უნდა  
თქვენ თითონ ადევნოთ თვალ-ყური  
ამხანაგობის საქმეების მსვლელობას და,

თუ შენიშნოთ დაქვეითება მაშინვე გა-  
მოაკეთოთ და გაასწოროთ. პატრონი  
ამხანაგობისა არის საერთო კრება, ესე  
იგი თქვენ ყველანი. იყო ბევრი შემთ-  
ხვევა როცა ამხანაგობის საქმეებს მარ-  
ტო გამგეობა აწარმოებდა, თვით წევ-  
რები კი ზღელსაც არ ანძრევდნენ, ამხა-  
ნაგობის საქმეებს თვალ-ყურს არ ადევ-  
ნებდნენ, საერთო კრებაზე არ დადი-  
ოდნენ და გამგეობისგან ანგარიშს არა  
თხოულობდნენ.

ასეთი სასოფლო ბანკები ყოველ  
წლივ წარმატების მაგიერ უკან იხევ-  
დნენ, ფულის გამტანნი უკან აღარ  
უბრუნებდნენ და ბოლოს საშუღამოდ  
იკეტებოდნენ. ასეთი შედეგი კი ცუდი  
არის, რადგან ისევე ძველი დრო მო-  
ბრუნდება, ამხანაგობა აღარ იქნება და  
ფულისთვის ისევე მოვანშეებთან მო-  
გვიხდება მისვლა. უნდა ყოველმა წე-  
ვრმა მიიღოს მონაწილეობა ამხანაგო-  
ბის საქმეების წარმოებაში და თვალ-  
ყური ადევნოს გამგეობის საქციელს.  
ამას გარდა უნდა ამოირჩიოთ სამი-  
ოთხი კაცი და შეადგინოთ სარევიზიო  
საბჭო, რომელიც ყოველ თვე ანგა-  
რიშს გაუწევს გამგეობას და თუ რაიმე  
უწესოება შეამჩნია, მაგალითად ან  
ფული აკლია, ან წესიერად არ არის  
ფული გაცემული, მაშინვე უნდა გა-  
მოაკეთოს ამხანაგობის საქმე, რომ თა-  
ვიდან ააცილონ ცუდი შედეგი.

— თუ ვინიცობა რომელიმე ამხა-  
ნაგმა ვალი დროზე არ გადაიხადა, რო-



გორ უნდა მოვიქცეთ, შევიტონენ ინსპექტორს.

— ფულის შემოტანაზე უარის თქმა ამხანაგს შეუძლიან მაშინ, როცა რაიმე შესაწყნარებელი მიზეზი ექნება, მაგალითად ან დაეხოცება შინაური საქონელი, ურომლისოდაც იოლად ვერ წავა და, მაშასადამე, უეჭველად უნდა იყიდოს, ან და, როცა ამხანაგის ოჯახს მუშა ხელი დაჰკლდება; ერთის სიტყვით, როცა ამხანაგს რაიმე უბედურება ეწვევა და ვალის გადახდევინება იმისთვის სრული დაღუპვა იქნება. ამგვარს შემთხვევაში შეიძლება ამხანაგს ვალი ედროვოს, ვიდრე წელში გაიმართება.

— ამხანაგმა რომ უარი სთქვას ფულის შემოტანაზე უმიზეზოთ, მაშინ რაღა ზომას უნდა მივმართოთ?

— ამისთანა ამხანაგის შესახებ უნდა მისწეროთ ქალაქი მამასახლისს ან ბოქაულს და სთხოვოთ, რომ საჯარო ვაჭრობით (ტორგით) გაუყიდოს უძრავ-მოდრავი ქონება და ფული ამხანაგობას დაუბრუნოს. მამასახლისი და ბოქაული მოვალენი არიან კანონით აუწერონ შეიდი დღის განმავლობაში მოვალეს ქონება და შემდეგ საჯარო-ვაჭრობით გაუყიდონ.

— აი ეს კარგია!

— კარგია, დაეთანხმა ნიკოც, — მაგრამ როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც ამხანაგი გარდაიცვლება, ფულს ვერ დაგვიბრუნებს და ქონებაც არ ექნება?

— მე ამ წუთში აგისნით, თუ როგორ უნდა მოიქცეთ ამ გვარ შემთხვევაში, უპასუხა ინსპექტორმა. — ყოველ წლივ ამხანაგობას რჩება მოგება, ამ მოგებიდან ზოგი უნდა გადადოთ

საკუთარი თანხის დასაარსებლად, რადგანაც სახელმწიფო ბანკს უნდა დაუბრუნოთ სესხი, ზოგი კიდევ სათადარიგო თანხის დასაარსებლად. აი ამ სათადარიგო თანხით შეიძლება დაიფაროს ის სესხი, რომელიც ამხანაგობას წევრის სიკვდილით ან სხვა მიზეზით დაეკარგება. მაგრამ უნდა ეცადოთ, რომ ასეთი შემთხვევები სულ აიცილოთ თავიდან, ე. ი. გადახდევინოთ მოვალის მემკვიდრეს.

— მაშ ამგვარ შემთხვევაში ჩვენ არაფერი არ დაგვეხარჯება?

— როგორც გითხარით, ასეთი სესხი შეიძლება დაიფაროს მოგებით და სათადარიგო თანხით. ამ შემთხვევაში თქვენ არაფერი არ დაგეხარჯებათ. ამით. რასაკვირველია, სათადარიგო თანხა იკლებს, მაგრამ თუ მოინდომებთ, რომ სათადარიგო თანხამ არ იკლოს, არამედ უფრო გადიდდეს, შეიძლება დაკარგული სესხი გაანაწილოთ წევრებზე. ესთქვით, ამხანაგობაში შედის ასი წევრი, დაკარგული სესხი კი უდრის 10—15 მანეთს. ეს ვალი რომ ყველას გაუნაწილოდ, თითოს შეხვდება ორი ან სამი შაური. ამ ფულის შეტანა არავისთვის არ იქნება ძნელი, ამით კი მოიზორებენ დაკარგულს სესხს და მით გამოაკეთებენ ამხანაგობის საქმეს.

— რა დიდი საქმეა წელიწადში ორისამი შაურის, გადახდა წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— შემდეგ, რომ დარწმუნებული იყვნეთ სესხის უზრუნველყოფაში, უნდა ფულის გამტანს მოსთხოვოთ თავდები, რომელიც გადაიხდის ფულს მოვალის მაგიერ, თუ ეს უკანასკნელი არ დაუბრუნებს გატანილს სესხს რაიმე მიზეზით.

— ფულის გატანა ყველა წევრს შეუძლიან?

— ფულის გატანა ამხანაგობიდან ყველა წევრს შეუძლიან, მაგრამ ფული უნდა მიეცეს უექველად რაიმე სამეურნეო-საოჯახო საჭიროებისათვის. სესხი მაშინაა სასარგებლო, როცა იხარჯება ისეთ საქმეზე, რომელიც სარგებლობას მოუტანს მსესხებელს, რასმე შესძენს. თუ კაცს ცხოვრების სახსარი არა აქვს და ვალს იღებს იმიტომ, რომ თავის თავზე დახარჯოს, სესხი მას არავითარ სარგებლობას არ მოუტანს, საზარალოც იქნება, რადგან სესხს რომ დახარჯავს, ამით ქონება არ შეეძინება, არ გამდიდრდება, ხოლო სესხი კი უნდა გადაიხადოს და თანაც სარგებელი აძლიოს. მსესხებელმა ფული იმიტომ უნდა ისესხოს, რომ საწარმოვო საქმეს მოახმაროს. საქმე გააუკეთესოს, მეტი შემოსავალი მიიღოს და ამგვარად სესხის დაბრუნებაც შეიძლოს და თვითონაც მოგებული დარჩეს.

— ეგ მართალია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ სახელმწიფო ბანკი ფულს ძალიან ცოტას იძლევა, ასი თუმანი აბა რას გვეყოფა?

— როცა ფული დაგაკლდებათ, სახელმწიფო ბანკიდან გამოიტანთ ვექსილებით მოკლე ვადიან სესხს. თქვენ ნება გაქვთ ამნაირ სესხის გამოტანა სამას თუმნამდე. შემდეგ თქვენ უნდა ეცადოთ მიიზიდოთ ფული შესანახად. თუ თქვენგანს ვისმე თავისუფალი ფული აქვს, უნდა შეიტანოს ამხანაგობაში. თქვენი ფული, რომელიც სახლში უსარგებლოდ იქნება, ამხანაგობაში ორნაირ სარგებლობას მოიტანს. ამ ფულს ამხანაგობა მიასესხებს გაჭირვებულს ამხანაგს. სესხში ამხანაგობა გა-

დაახდევინებს სარგებელს, რომლის ნაწილს ფულის შემტანს მისცემს.

ამის შემდეგ მათ ამოირჩიეს თავიანთ შორის სამი წევრი გამგეობაში და ორიც მათ მოადგილეთ. გამგეობამ უნდა განაგოს ამხანაგობის საქმეები: გასცეს და აიღოს სესხი, მიიღონ შესანახად ფული, საჭიროების დროს სახელმწიფო ბანკიდან ფული გამოიტანონ და აწარმოვონ საანგარიშო წიგნები. ამათ გარდა ამოირჩიეს კიდევ ხუთი კაცი, რომლებიც შეადგენენ მეთვალყურე საბჭოს და რომელიც ყოველი თვის ბოლოს ანგარიშს უწევს გამგეობას მის მოქმედებაზე.

უთანხმოება მოუვიდათ იმაზე, თუ რამდენი სარგებელი გადაეხდევინებინათ სესხში. ზოგნი იძახდნენ, რომ სარგებელი გადაეხდევინოთ თუმანზე ორი შაურიო, ზოგიკიდევ ნაკლებს იძახდა.

— სარგებლის გადაწყვეტა დამოკიდებულია თქვენზე, მაგრამ უნდა გახსომდეთ, რომ სარგებელი შეადგენს ამხანაგობის მოგებას. მოგებიდან ამხანაგობამ უნდა გაისტუმროს სახელმწიფო ბანკის სესხის სარგებელი, მისცეს სარგებელი შესანახად შეტანილ ფულში, მიეცეს ჯამაგირი ანგარიშის მწარმოებელს, იყიდოს წიგნები და სხ. ამას გარდა მოგებიდან უნდა შეაგროვოთ სათადარიგო და საკუთარი თანხები, იმიტომ მე გირჩევთ პირველად გადაახდევინოდ სესხში 12 პროცენტი ანუ თუმანზე ორი შაური. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ამხანაგობის შემოსავალი იმატებს, მაშინ შეიძლება სარგებლის დაკლება.

დაუჯერეს ინსპექტორს და სარგებელი 12 პროცენტი დაადგინეს.

იმ დღესვე შეუდგნენ საქმეს: მონახეს შენობა ამხანაგობის მოსათავსებ-

ლად, შეიძინეს საკირო ნივთები— მაგია, სკამები, საანგარიშო „სჩოტი“ და სხვ. გამგეობის წევრნი მეორე დღესვე წავიდნენ ქალაქში და გამოიტანეს ფული სახელმწიფო ბანკიდან. ქალაქშივე იყიდეს რკინის სკივრი ფულის შესანახად და წიგნები ანგარიშის საწარმოებლად...

პირველ ხანებში ხალხი გულგრილად უყურებდა ამხანაგობას, მაგრამ მალე დარწმუნდნენ მის სარგებლობაში და ბევრნიც ეწერებოდნენ. ამხანაგობა ღია იყო მხოლოდ კვირა უქმე დღეებში. სიფრთხილისთვის ფულის სკივრი ორი გასაღებით ჰქონდათ დაკეტილი, ერთი გასაღები ჰქონდა ხაზინაძარს, მეორე—გამგეობის მეორე წევრს. დაწესეს ღამის ყარაულობა. ყარაულობდნენ თვით წევრები მორიგეობით. ამხანაგობაში უკვე სამოცამდე წევრი იყო და ამიტომ მორიგეობა თითოს მოსდიოდა ორ თვეში ერთხელ...

გამგეობაში მოჰყვნენ პეტრე და ნიკო. ესენი სინიდიისიერად ასრულებდნენ თავიანთს მოვალეობას. ყოველი თვის ბოლოს გამგეობას ანგარიშს სთხოვდა მეთვალყურე საბჭო, რის შემდეგაც თვიურს ანგარიშს უგზავნიდნენ სახელმწიფო ბანკს. ხალხი მათ შრომას პირველ ხანებში არ აფასებდა, მაგრამ ამას პეტრე და ნიკო ყურადღებას არ აქცევდნენ; ისინი დარწმუნებულნი იყვნენ რომ ეს შეუღებლობის მიზეზი იყო, ამიტომ ისინი ყოველთვის, როცა კი დრო ხელს უწყობდა, უხსნიდნენ ხალხს წესდებას, ამხანაგობის მიზანს და აცნობებდნენ საკრედიტო ამხანაგობის ისტორიას.

ასე გაატარეს მათ მთელი წელიწადი. წლის ბოლოს სახელმწიფო ბანკიდან

მოვიდა სარევიზიოთ წერილი კრედიტის ინსპექტორი. იგი დარწმუნდა ანგარიშის კარგად წარმოებაში. გამოიანგარიშეს წმინდა მოგება, რომელიც ოც თუმანს უდრიდა. ინსპექტორმა საერთო კრებას მისცა წინადადება, რომ საჩუქარი მიეცათ პეტრესთვის ანგარიშის კარგად წარმოებისთვის, მაგრამ პეტრემ უარი განაცხადა. ინსპექტორის მოსვლამ და რევიზიის შედეგმა ბევრი დაარწმუნა ამხანაგობის საქმის სიმკვიდრეში და ბევრი ეწერებოდა. რადგანაც მსურველი ბევრი იყო, ამიტომ საერთო კრებამ წევრების მიღება მიანდო გამგეობას და მეთვალყურე საბჭოს.

ამხანაგობის ასეთმა ზრდამ შეაფუცხუნა მოვანშეები. ისინი პირველად ამხანაგობას ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ ეხლა კი, როცა ხედავდნენ რომ ამხანაგობის საქმე კარგად მიდიოდა და, მაშასადამე, მათ შეფობას ბოლო უნდა მოჰღებოდა, მიჰყვეს ხელი ათასნაირ კორებს, რათა მით შეეჩერებინათ ამხანაგობის ზრდა. მაგრამ მათ კორებს აღარავინ მისდევდა, გარდა თითო-ოროლა ხნიანი ხალხისა, რომლებიც ყოველსავე ახალს ძნელად ითვისებენ და რომლებიც მუდამ არჩევენ „შეჩვეულ კირს, შეუჩვეველ ღვინსა“. მალე ისეთი „ურწმუნო თომების“ რიცხვიც შემოკლდა, ნამეტნავად იმის შემდეგ რაც ამხანაგობამ დაიწყო საშუამავლო მოქმედება.

პეტრე და ნიკო ერთი წლის განმავლობაში კარგად გამოიცადნენ და კარგათაა შეისწავლეს წესდება, გარდა საშუამავლო მოქმედებისა, რომელიც მათ ძალიან აინტერესებდა და რომელიც წესდებაში ბუნდოვნად იყო მოხსენებული. მის ასახსნელად მათ მიმართეს ინსპექტორს.

— აი ეს შუამავლობა რას ნიშნავს, დაიწყო ახსნა ინსპექტორმა: — ეს თქვით, თქვენი ამხანაგობის წევრებს უჭირთ სამეურნეო იარაღები, მაგალითად სახინისები, ბარები, ნამგლები, ან პური სათესლეთ, მაგრამ ფული კი არა აქვთ. ამ გვარ შემთხვევაში მათ შეუძლიანთ მიმართონ ამხანაგობას, რომ მან იყიდოს საჭირო ნივთები თავის ფულით და მისცეს წევრებს ნისიათ.

— ნისიათ საქონელს ისედაც გვაძლევენ?

— ნისიათ აძლევენ ზოგიერთებს, ყველას ხომ არა? ვისაც არ იცნობენ, იმას არ ენდობიან. ამას გარდა ამხანაგობის საშუალებით ყიდვა უფრო იაფი დაჯდება, რადგანაც ამხანაგობას შეუძლიან პირდაპირ ფაბრიკიდან გამოიწეროს ნივთები. თუ არის ქალაქში სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობი, ამხანაგობას შეუძლიან მოურიგდეს მას და ფასნაკლებ გამოართვას ხოლმე საჭირო ნივთები.

— ეგ ძალიან კარგია, სთქვეს გლეხებმა.

— შემდეგ შეიძლება ამხანაგობის წევრები იყვნენ ხელოსნები, რომლებსაც უჭირთ მასალა. მათ შეუძლიანთ შეუკვეთონ ამხანაგობას, რომ მან უყიდოს საჭირო მასალა. რადგან ამხანაგობა ამ შემთხვევაშიაც მასალას ბევრს იყიდის ერთბაშით, ამიტომ უფრო იაფად ეღირება, ვიდრე ცალკე-ცალკე ყიდვის დროს.

— ამას გარდა, უხსნიდა ინსპექტორი— ამხანაგობას შეუძლიან გაუწიოს წევრებს კიდევ ერთგვარი შუამავლობა: შეუძლიან გაყიდოს თავისი წევრების ნაწარმოები. ამ საქმეს აწარმოებენ ასე: ამხანაგობის წევრების ნაწარმოები. ამ საქმეს აწარმოებენ ასე: ამხანაგობის წევრებს შეაქვთ გამგეობაში განცხა-

დება, რომ მათ აქვთ გასაყიდი ამდენი და ამდენი ფუთი ხორბალი. გამგეობა გამოიანგარიშებს თუ რამდენი ფუთი ხორბალი სულ გასაყიდი და თავის მხრივ აცნობებს რომელიმე მსხვილ სავაჭროს, რომ მასაქვს გასაყიდი ხორბალი. ერთბაშით გაყიდვა, რასაკვირველია უფრო კარგია, ვიდრე წვრილ-წვრილად.

— პურის გარდა კიდევ რისიმე გაყიდვა შეიძლება ამხანაგობის საშუალებით?

— ამხანაგობის საშუალებით ყველაფრის გაყიდვა შეიძლება. შეიძლება გაყიდვა ღვინისა, ხილისა, ბოსტნეულისა და შინა მრეწველობის ნაწარმოებისა. თუ ამხანაგები ამხადებენ რაიმე ნივთებს, მაგალითად, თიხის ქურქელს, ამხანაგობას შეუძლიან შუამავლობა გაუწიოს ქურქელის გაყიდვაში. ამხანაგობას შუამავლობის გაწევაში ხარჯი ექნება, იმიტომ აღებულ ფულიდან ნაწილს იტოვებს ხარჯების დასაფარავად.

— ეს კარგი საქმეა, შენიშნა პეტრემ: — მაგრამ პირველათ ვერ შეიძლება მის შესრულებას.

— თუ გრძნობთ, რომ ამ ნაირ საქმეებს ვერ აწარმოებთ, კარგი იქნება, რომ ხელი მოჰკიდოთ. შუამავლობის გაწევა მეტად ართულებს ანგარიშს და პირველათ მისი წარმოება გამოუცდელ კაცისთვის მეტად ძნელია. უკეთესია საშუამავლო მოქმედება დაიწყოთ მაშინ, როცა ამხანაგობის საქმე მკვიდრ ნიადაგზე დადგება და თქვენ საჭირო გამოცდილობას მიიღებთ, აუხსნა ინსპექტორმა.

ორი წლის შემდეგ ამხანაგობამ თავისი მოქმედებით დიდი გავლენა მო-



იზოვა ხალხში, გამგეობის წევრებმაც საკმარისი გამოცდილება შეიძინეს და ამიტომ მოჰკიდეს ხელი შუამავლობის გაწევასაც.

ასე იზოვეს სოფელ მ. მცხოვრებლებმა ფული საოჯახო-სამეურნეო საჭირო-სამეურნეო საჭიროებისათვის.

ს. კახელიძე

# კ რ ე ს კ რ ე ნ დ ე ნ ც ი ა

**სამებრელო. სოფ. კირცხი.** საერთოდ ეს მხარე საქართველოს სხვა ნაწილებ შორის მეურნეობის მხრივ ძალიან ჩამორჩენილი მხარეა, მით უფრო რომ ხელმძღვანელნი და ნათელი გზის მაჩვენებელნი ძალიან ნაკლებად მოიძებნებიან და თუ ვინმე არიან ბევრს მათგანს სხვა ხელობისათვის მოუკიდონიათ ხელი. მიუხედავად ამისა მცხოვრებნი მაინც ერთი მეორის მიხედვით თანდათან იღვიძებენ და მისდევენ მესიმინდებობას, მევენახეობას, მეხილეობას და სხვა და სხვა. 12 წელიწადია რაც ზედი ზედ სამეგრელოს უმთავრეს სიმდიდრეს—სიმინდს დატაროიანებაში ჩრჩილი უჩნდება; გაზაფხულიდან შემოდგომამდე სასიმინდეში შენახულ სიმინდს პეპელა გამოუდის, გული ეფიტება და მით ფასი აკლდება. ბევრი თქმულა, ბევრიც დაწერილა ამაზედ, მაგრამ სახელდახელო საშუალება ამის წინააღმდეგ კი ჯერ ვერაფერი გამოურკვევიათ. მე თითონ სამი წელიწადია გაუფურჩნავ ტაროს ვინახავ სასიმინდეში სამი ოთხი თვის სამყოფს და ვატყობ რომ თუ კარგად იქნა შენახული, პეპელა აღარ გამოდის. ხოლო ასე შენახვა სიმინდისა უფრო მეტ ადგილსა და ხარჯს თხოულობს.

წარსულ წლებთან შედარებით წლეულ სიმინდის და პურის მოსავალმა საგრძნობელად იმატა; გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ ჭაობიანი ადგილები. პურის ხორბალსაც და ჭვავისასაც, როგორც სიმინდის მარცვალს, ჩრჩილი უჩნდება და ანახევრებს. სანამ ჩრჩილი

გაჩნდებოდა ფუთი ხორბალი პურისა 1 მ. 80 კ. ფასობდა, ახლა კი 1 მ. ამ მოვლენას გაუნათლებელი ხალხი ხვთის რისხვითა ხსნის.

მევენახეობა თანდათან იღვიძებს, მაგრამ წამლობა ძალიან უწესოდ სწარმოებს.

წლევიანდელი მოსავალი წარსული წლების მოსავალთან შედარებით ძალიან ნაკლებია. უმოსავლობა აიხსნება უფრო იმით რომ ჯერ იენისის შუა რიცხვებში სეტყვამ დააზარალა ზოგან, ახლა კიდევ ივლისის ჯერ წვიმებმა და მერე სამი დღის განმავლობაში არა-ჩვეულებრივმა სიციხეებმა ვენახს ყურძენი და ფოთოლი სრულიად დაუქნა და გაათუქა. ხოლო შემდეგ ფოთოლმა და მარცვალმა გაცვივნა დაიწყა, რასაც ჩემის აზრით უფრო ფილოქსერით დაავადიანებასთან აქვს კავშირი.

თხილი ფუთი 1 მ. 60 კ. ფასობდა ივლისში და ეხლა კი 4 მ. 50 კ. ვახდა, ჩარჩებმა თავის დროზე შეისყიდეს დაფნა დიდს მოსავალს აძლევს სამეგრელოში ორ საზოგადოებას, **ხეთას** და **ცაიშს**; გამხმარი დაფნის ფოთოლი ფუთი 4 მანეთიდან 7 მანეთამდე აღის; კაკალი სათესლეთ ფუთი წლეულს 40 მ. ფასობდა და მაინც დაიტაცეს; ამ დაფნის მოვლა-მოშენებაზე დიდი ყურადღება აქვს სოფელს მიქცეული.

პარკის მოსავალმა თანდათან იკლო, უფრო შუა და ზემო სამეგრელოში, ხოლო დასავლეთის მხარე ჯერ ჯერობით პარკის მოუსავლობა არ უგრძენიათ.

ლ. ჯიქია

## საერთაშორისო ცნობები

**როგორ შეიძლება მოუსვენარ ძროხის მოვლა მოსაწველად.** ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, რომ მიუჩვეულობის, ან სხვა რამ მიზეზისა გამო ფური ერთ ადგილას არა დგება მოსაწველად, აწვალებს მომწველსაც და ზოგჯერ მონაწველ რძესაც აქცევს. უცხოელ მეძროხეებს გამოუცდიათ შემდეგი მეტად მართივი საშუალება. ამისათვის საკმარისია მხოლოდ, სანამ ასეთ მოუსვენარ ფურის მოწველას შეუდგებოდეთ, წელზე, კუკუხობებზე ცივ წყალში დასველებული ტილო დაადოთ. ეს საშუალება იმდენად თურმე კარგია, რომ შესაძლებლადა ჰხდის ისეთი ძროხების დამშვიდებასაც, რომელთა მორჯულება სხვა ვერავითარ საშუალებით ვერა ხერხდება.

**ჭიაყელების გამრავლება ქათმებისთვის.** ყველამ კარგად იცის როგორ უყვარს შინაურ ფრინველს და ყველაზე მეტად ქათმებს ჭიაყელები, ამიტომ ურიგო არ იქნება შეეცადნეთ მათ გამრავლებას, მით უმეტეს, რომ ეს ძალიან ადვილი საქმეა და არავითარ ხარჯს, ან დროს დაკარგვას არ საჭიროებს.

შეაქურთეთ უკვე ნახევრად ჩამპალი სასუქი და შიგ ორი-სამი მუჭა ჭიაყელა ჩაყარეთ.

ერთი წლის შემდეგ შიგ აუარებელი ჭიაყელა გამრავლდება და მაშინ შეიძლება მიუშვათ ზედ ქათმები. ეცადეთ მხოლოდ რომ დაჩრდილულ ალაგას დაყაროთ ნებვი, რომ მზემ არ გამოაშროს (ჭიაყელებს ნოტიო ალაგი უყვარს). ჭიაყელები თავისთავად ამ ხროკიდან არ გამოვლენ და არც დაიფანტებიან.

**როგორ უნდა მოვიქცეთ რომ ფანჯრის შუშები ყინვებისაგან არ დასკდეს.** ფანჯრის შუშები რომ ზამთარში არ გაიყინოს, ამისათვის საჭიროა აიღოთ სამი წილი სპირტი და ერთი წილი გლიცერინი და ყველა ეს ერთად არეული მჩვრით წაუშვათ შუშებს.

**კართოფილის საპონი,** კართოფილი მშვენივრად ჰრეცხს ყოველგვარ სარეცხს, უფრო კი ფერად ჩითეულს და ამასთან აბრეშუმეულსაც. კართოფილის კარგი თვისება ის არის, რომ ჩითეულს არასოდეს არ ახუნებს. სანმარებლად კართოფილი ასე უნდა მოამზადოთ: პირველად მოხარშეთ კართოფილი ისე, რომ ხელში იშლებოდეს, შემდეგ იხმარეთ როგორც საპონი. წასმის დროს ღონივრად უნდა ჰსროსოთ.

მიიღება ხელის-მოწერა ჟურნალ

**„მოსავალზე“**

1911 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პრინციპით. ეღირება წლიურად **3** მანეთი. პრემია ამ წლისა დეკემბრის ნომერთან დარიგდება, მოძავალი. 1911 წლისათვის შექმდე გამოცხადდება.